ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
NATIONAL ASSOCIATION OF LOCAL AUTHORITIES

2 ნოემბერი, 2012

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს განცხადება

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო მიესალმება 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას და ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემას ცენტრალურ დონეზე.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალა სრულიად უზრუნველყოფს არსებული მიღწევების შენარჩუნებას და განვითარებას. ჩვენ მივესალმებით ახალი ხელისუფლების განაცხადს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის გაძლიერების შესახებ.

ამავდროულად, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია გამოთქვამს შეშფოთებას თვითმმართველი ორგანოების თანამდებობის პირებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების გამო და გმობს საქართველოს პარლამენტის თანამდებობის პირების მიერ თვითმმართველი ერთეულების საკადრო საკითხებში ჩარევის მცდელობას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მოუწოდებს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას დაიცვას და პატივი სცეს ადგილობრივი თვითმმართველობების კონსტიტუციურ უფლებას. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, თვალყური ადევნოს საქართველოს მთავრობის მოქმედებას და მკაცრად მოსთხოვოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში ჩაურევლობა.

პატივს ვსცემთ რა ქართველი ხალხის ნებას, გამოხატულს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მზადაა ითანამშრომლოს ყველა ძალასთან თვითმმართველობის შემდგომი გაძლიერებისთვის.

ჩვენ ასევე მოვუწოდებთ თვითმმართველ ერთეულებს, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს მოსახლეობასთან ურთიერთობასა და საერთო სადეპუტატო მოვალეობების აღსრულებაში. იმავდროულად თვითმმართველობები შეუვალი უნდა დარჩნენ საკუთარ ფუნქციებში ცენტარლური ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევის ფაქტების მიმართ და საკუთარი უფლებამოსილებანი უნდა განახორციელონ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონის შესაბამისად.

მამუკა აბულაძე
პრეზიდენტი
საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია